საქართველოს
ეროვნული
მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

საბჭოთა საქართველოს მეოთხემეტ ქალს.

8 მარტი საერთაშორისო კომუნისტური დღეა. რიდესაც ხდება ყველა ქვეყნის შუშა ქალთა და გლეხ ქალთა მებრძოლი ძალების დათვალიერება.

ამ დღეს ყოველგან, ყველა ქვეყნებში გაისმის მრავალ მილიონ მშრომელ ქალთა ხმა, რომელიც მოიწოდებს რევოლიუციონერულ ბრძოლისაკენ, ძალთა დარაზმვისაკენ და კაპიტალიზმის სამყაროს წინააღმდეგ სამკვლო-სასიკოცხლო ბრძოლის გაჩაღებისაკენ.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა—მუშა ქალებთან და გლეხ ქალებთან ერთად მოიპოვეს გამარჯვება რევოლიუციონერულ ბრძოლაში და საბოლოოდ განაადგურეს მეფე, კაპიტალისტები, მემამულენი და ყოველგვარი მოქმახორები, საბოლოოდ მოსპეს ჩაგრა-ბოროტება, ძალადობა და ექსპლოატაცია და მოიპოვეს უფლება ახალი საზოგადოებრივ წყობილების შენებლობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოიწოდა მშრომელ ქალებს აქტიური მონაწილეობისაკენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოშაობაში. საბჭოთა ქვეყნების მშრომელი ქალები დღეს უფრო და უფრო სავსეთ მონაწილეობას იღებენ პროლეტარულ საბელშწიფოს პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობაში. დასავლეთის ჯერ კიდევ კაპიტალისტურ ქვეყნების ქალები დიდი გულისტკივილით ადევნებენ თვალს საბჭოთა ქვეყნების ქალთა განთავისუფლების საქმეს. მათს მუშაობას. საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალთა მაგალითებით ისინი იწურნენებიან ბრძოლაში, ისინი მაბრნი უდგებიან მოძმე პროლეტარიატისა და გლეხობის. იარაღებიან მთა მებრძოლ რიგებში გადამწყვეტ ბრძოლისთვის, რომელმაც უნდა განაადგუროს კაპიტალიზმი და დაამყაროს თავისუფლება.

საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალთა განთავისუფლებამ იმედი გაუღვიძა აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელ ქალებს, მათ სწამთ, რომ რევოლიუციონერი ბრძოლის გზით ისინიც მიაღწევენ გამარჯვებას და განთავისუფლებიან ჩაგრა-ბოროტის მძიმე უღლისაგან. რევოლიუციონერ ბრძოლის გზაზე აღმოსავლეთის ქალებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უზდებთ, მაგრამ ისინი მაინც ადგებიან ამ გზას. საბჭოთა კავშირის თავისუფალ მშრომელ ქალის რევოლიუციონერ მოწოდებას 8 მარტს გამოესპორება აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშრომელ ქალთა მსაგონი. მსოფლიოს მრავალრიცხოვანი მშრომელი ქალები გაძლიერებენ და გააკეკენენ პროლეტარიატის ძალადუფლებისთვის მებრძოლ მშრომელთა მსაგონ რიგებს.

8 მარტის დღე მუშა ქალთა და გლეხ ქალთა მარტოოდენ დარაზმვის დღე როდია. ამ დღეს საბჭოთა კავშირის თავისუფალმა მშრომელმა ქალებმა—პროლეტარულ რევოლიუციის მონაწილეებმა და ახალი საზოგადოების აღმშენებლებმა—თავალი უნდა გადაეალონ თავის მიღწევებს და წარმატებას იმ ბრძოლაში, რომელიც ეუწარმოებიათ მთა ახალი ყოფაცხოვრებისთვის, მრშომელი გლეხობის ეკონტურულ და ეკონომიურ განმტკიცებისთვის.

ამ დღეს საბჭოთა კავშირის მუშა ქალებმა და გლეხ ქალებმა უნდა გადასინჯონ თავიანი საქმიანობა—რამდენად სწორად შეასრულეს მათ და განაბორიკეულეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები. 8 მარტის ღღეს საბჭოთა საკარჭველოს ყოველი მუშა და გლეხი ქალი მოვალეა შეეკითხოს თავისთავს—რა გაიკეთა მან ამ ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის მეურნეობის განმტკიცებისა და ალორძინებისათვის; რამდენად საკმაან მონაწილეობას იღებდა იგი ქალაქისა და სოფლის კოოპერაციის მუშაობაში, რა გააკეთა მან საბჭოებში.

8 მარტის დღეს საბჭოთა კავშირის მუშა ქალებმა და გლეხ ქალებმა შეგნებულად და სწორად უნდა ასწონ-დასწონონ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აქვთ მათ დასისრებული მოზარდ თაობის კომეწნლიტურად აღზრდის საქმეში. ამ დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელმა ქალებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოუსმინონ მოზარდ თაობას, რომლისგანაც იქნებენ მუშებისა და გლეხების საკმისთვის ახალი თავგანწირული მებრძოლნი—ოქტომბრის რევოლიუციის სალბარაჯოზე მდგარ ძველ გამობრძმედილ ბოლშევიკურ გვარდიის შესაცვლელად.

ოქტომბრის რევოლიუციის დიდი მომავალი მოიწოდებს მშრომელ ქალს მოზარდ თაობის—კომკავშირის ხელმძღვანელთა და აღმშრდელთა რიგებისაკენ. საბ-

P 11073

ჭოთა საქართველოს შრომელო ქალებო, დარაზმეთ თქვენი ძალები და ჩადექით ახალი სამყაროს შენებელთა და ახალი ცხოვრებისთვის მებრძოლთა რიგებში!

ჩვენი საზეიმო დღე—8 მარტი—გადავაქციოთ ლენინის მოსაგონარ დღეთ, როდესაც უნდა მოხდეს ლენინის ანდერძისა და აღთქმათა განხორციელება.

არავითარი ბრძოლის წარმოება, არავითარი გამარჯვების მოპოვება არ შეძლება შრომელი ქალის მონაწილეობის გარეშე. საბჭოთა საქართველოს შრომელი ქალო, მზად იყავ ამოუდგე მხარში მუშათა კლასს ლენინურ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წესწყობილების და ახალი ცხოვრების განსამტკიცებლად.

„იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრულ ხალხების განთავისუფლების საქმე, კაპიტალის ძმიმე უღლისაგან მუშებისა და მუშა ქალების განთავისუფლების საქმე შეუერრებლად მიიწევს წინ. ეს საქმე წინ წასწიეს მუშებისა და მუშა ქალების, გლეხებისა და გლეხი ქალების მრავალმილიონიანმა მასებმა, ამიტომაც კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ეს დიდი საქმე აუცილებლად გაიმარჯვებს მთელს ქვეყანაზე“ (ლენინი).

წინ, ლენინის ანდერძის გზით—საერთაშორისო დღისაკენ.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. არსებულ მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება.